# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა. — ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი 1900 წ. № 1271

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ.
**ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღით).
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**
**ტელეფონი № 372.**

ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს,**

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად** ლექსად თარგმნილი განდეგილის მიერ

## ვაი ჭკუისაგან

კომედია 4 მოქმ. ა. ს. გრიბოედოვისა.

მონაწილეობენ: ქალბატონნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, ალხაზიშვილი და სხვ. ბატონნი: აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, აბალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება წარმოსადგენად **„აანიჩარი“**, ისტ. დრამ; **„დენიზა“**, დრამა ალ. დიუმასი და სხვა. (3—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დილით:**

**გ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

**ნ. ა. მუღიანი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

**ი. პ. ახალშენიშვილი** — კბილის სნეულებანი —10—2 საათამდე.

**ა. ნ. მაჭავარიანი**—თვალისა 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

**მ. გ. ბეზირგანოვი**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათამდე.

**ვ. დ. მარკევიჩი** — სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

**ა. ა. ბელოკოლოვი** — შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი
(წლ.) **მიხეილ გედევანიშვილი.**



## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**16 ოქტომბერი**

**შანჰაი.** შანსის გუბერნატორმა იუხსიენმა, რომელმაც ბრძანება გასცა მისსიონერების მოკვლის შესახებ, თავი მოიკლა.

**პეკინი.** 13 ოქტომბერს მოხდა უცხოელ ელჩთა სხდომა, რომელზედაც გადაწყდა მოსთხოვონ ჩინეთს, რომ იმ პირთა გარდა, რომელთა სიკვდილით დასჯა საფრანგეთმა მოითხოვა, დასჯილ იქმნან აგრეთვე პრინცები ii და სინიენსი.

იმპერატორის უკანასკნელს ბრძანებაში მოხსენებულია კიდევ რამდენიმე წარჩინებული, რომელნიც უნდა დაისაჯონ; როგორც სჩანს აქედან, ჩინეთს ჰსურს უცხოელთა მომადლიერება.

პაოტინფუდან იტყობინებიან, რომ ჩინელები სასტიკად ეპყრობოდენ პაოტინფუში მისსიონერთ, მაშინვე დაატუსაღეს უმთავრესი დამნაშავე, ადგილობრივი ხაზინადარი. ჰფიქრობენ, რომ მოკავშირენი დასჯიან ქალაქის მცხოვრებთ.

**კაპშტადტი.** კაპის ახალშენის საპოლიციო ჯარს 11-ს ოქტომბერს დიდი შეტაკება მოუხდა კაპშტადტთან ბურების ორ რაზმთან. ინგლისელთ ჰქონდათ ორი ზარბაზანი მაქსიმის სისტემისა. ბურები, დიუნუას, ვილსენის, პოტშტერისა და დევილიეს წინამძღოლობით, ორჯერ დაესხნენ თავს ინგლისელთ; თითო ინგლისელზე 10 ბური მოდიოდა; ინგლისელები მეტად დამარცხდნენ. ბურებმა წაართვეს მათ ორივე ზარბაზანი. საღამოს ინგლისელთა ჯარს მშველელი რაზმიც მოუვიდა. ინგლისელთ 7 მოუკლეს, 11 დაუჭრეს და 15 დაუტყვევეს.

ბურებს ამ ჟამად 15 ათასამდე შეიარაღებული კაცი ჰყავთ; მათგან ნახევარი ორანჟეს ახალშენშია.

**ხაბაროვსკი.** მსროლელთა მე-12 პოლკი გაჩერდა ხაბაროვსკში და უგზავნის მშობლებსა და ნაცნობთ სალამს. ყველანი ჯან-მრთელად არიან. წერილების გზავნა ხაბაროვსკში შეიძლება.

**შანჰაი.** ქერივმა დედოფალმა საგანგებო კომისიას დაავალა შეაგროვოს ფული ჩინეთის შუაგულ და სამხრეთ პროვინციების ხაზინებში.

**ვაშინგტონი.** კონჯერისაგან მიღებული დეპეშა ამბობს, ტყუილია ის ხმა, ვითომც ჩინეთის მთავრობამ სამსახურიდან გადააყენათ ნანკინის და ხანკოუს პროვინციების მმართველნი ევროპიელებთან მეგობრულ განწყობილებისათვის.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

❧ ნორვეგიელი მისსიონერი, სახელად ნესტეგარდი, რომელიც 11 წლის განმავლობაში ქრისტიანობას ჰქადაგებდა მონგოლიაში, ამ ხანებში სამშობლოში დაბრუნებულა. ჩინეთის აჯანყებაზედ მისსიონერი მოგვითხრობს შემდეგს: რკინის გზაზედ მომუშავე ჩინელები, რიცხვით 80 ათასამდე, დაეცნენ მანჯურიის რკინისგზას და სრულიად მოსპეს იგი. არის მეელზური ჩინური თქმულება, რომელშიაც ნათქვამია, რა-წამს რკინის მავთული შემოახვევს ჩინეთს თავის ქსელს, ობობას მგზავსად, მაშინვე სახელმწიფო გაიყოფა და გადავა უცხოელების ხელში. სწორედ შიშით, რომ ეს თქმულება არ ასრულდესო, ჩინელები ასე თავგანწირულად იბრძვიან წინააღმდეგ უცხოელთა შემოსევისა. ჩინელების აზრით, მათ ყველაფერი აქვთ, რაც კი საჭიროა ამ ქვეყნიური ბედნიერების და კეთილ-დღეობისათვის და ამიტომ არაფერი არ უნდათ მიიღონ უცხოელებისაგან. ამ ჟამად საქმემ ვითომ პირი მშვიდობიანობისაკენ მიიბრუნა, მაგრამ ეს სანდობი არ არის: ჩინელები სცდილობენ მხოლოდ საქმის გაჭიანურებას და ელიან ზამთარს, როცა მდინარეები გაიყინება, რომ ასი-ათასობით მიუხდნენ ევროპიელებს.

ნესტეგარდის აზრით, სრულებით უსამართლოდ ამტყუნებენ მისიონერებს, ვითომ, იმათ ღვთის ანაბრობაზედ მიატოვეს თავიანთი სამწყსო და თითონვე დროზედ გაქცევით თავს უშველესო. მისიონერები ძალა-უნებურად უნდა გაქცეულიყვნენ; თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ აჭკუათვალდნენ ლუკმა-ლუკმა, ან სიკვდილამდე დასტანჯავდნენ. მისიონერები, როცა მიჰბოდნენ, თავიანთ სამწყსოსაც ამასვე ურჩევდნენ, კალგუღან (ტიბეტში) გაქცეულან ყველა ქრისტიანები მკვიდრთაგანნი და ეხლა—ვინ იცის, სად დაწრწიან.

ნორვეგიელი მისსიონერი ძალიან კმაყოფილია თავისი მოქმედებით მონგოლიაში. მონგოლები ძალიან მიმზიდველი, მაგრამ მეტად უსუფთაო ხალხია. დიდხანს იყვნენ მშვიდათ, მაგრამ ეხლა ომის ამბების გაგონებით ისინიც აღელდნენ და ემზადებიან ასაჯანყებლად. მათ ჰყავთ ქვეყნიური ღვთაება, ცოცხალი ღმერთი, რომელთანაც ისინი დადიან სალოცავად და რომელიც ინიშნება ჩინეთის იმპერატორისაგან.

ციმბირის რკინის გზის თაობაზედ ნესტეგარდი დიდის ქებით ლაპარა-

კობს, უმეტესად მის კარგ მოწყობილობასა და სიიაფეზედ. ირკუტსკიდან პეტერბურგამდე მისთვის გამოურთმევიათ მეორე კლასის ბილეთში მხოლოდ 80 კრონი.

☛ საფრანგეთის გაზეთებმაც გამოსთქვეს თავიანთი აზრი ინგლის-გერმანიის შეთანხმებაზედ. პარიზელი გაზეთები, თითქმის ყველანი უკლებლივ, ამ შეთანხმებას რუსეთის წინააღმდეგ მიმართულად სთვლიან. ოფიციოზური «ტან»-ის სიტყვით, უეჭველი მუხლი ინგლის-გერმანიის შეთანხმებისა ცხადად და ბრიყვულად უთითებს ამ ნამდვილ საგანს შეთანხმებისას. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფოთა ჩამოთვლის დროს, რომელთაც ინგლისმა და გერმანიამ უნდა შეატყობინონ შინაარსი თავიანთ ხელშეკრულობისა, ლორდ სოლსბერიმ და გრაფ გაცფელდმა გამოტოვეს სახელი რუსეთისა. ამნაირი განზრახ გამოტოვება წარმოადგენს, ერთის მხრივ, მტრობას რუსეთის მიმართ და მის განდევნას სახელმწიფოთა კონცერტიდან.

თუნდაც რომ ვიფიქროთ,—როგორც რამდენიმე გაზეთი სჩადის გიდეც,—რომ განზრახვანი სენჯემის და პოტს-დამის კაბინეტებისა წმინდანი არიან, მაინც სამწუხაროდ უნდა მივაჩნიოთ, რომ შეთანხმების მოუხერხებელმა დაწერამ მისცა მას ხასიათი მტრობისა ჩვენი მოკავშირე სახელმწიფოს მიმართ.

თითქმის ამავე კილოთი ლაპარაკობს «ჟურნალ დე დება» და სხვა საფრანგეთის გაზეთები. ეს ჯავრმორეული მსჯელობანი დაუყოვნებლივ გაიგეს ტელეგრაფით ბერლინში, სადაც მათ გამოიწვიეს მკაცრი წინააღმდეგობა გერმანული გაზეთების მხრივ. ესენი ამტკიცებენ, «ნაციონალ ცაიტუნგის» მოთავეობით, რომ გერმანულად და ინგლისურად გამოცემულ ხელ-შეკრულობის ტექსტში რუსეთის სახელი მოყვანილია ანბანის რიგზედ სხვათა სახელმწიფოთა შორის; მისი სახელი გამოტოვებინათ მხოლოდ იმ თარგმანში, რომელიც გაეგზავნა დეპეშით გავასის სააგენტოსაგან ფრანგების გაზეთების რედაქციებს. ამ შეცდომამ გამოიწვია მოსაზრება, ვითომ ინგლის-გერმანიის შეთანხმების მახვილი განსაკუთრებით მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ. ეს შეთანხმება დაუყოვნებლივ შეატყობინეს ინგლისმაც და გერმანიამაც პეტერბურგის კაბინეტს და თანაც სთხოვეს, რომ უაზრულს გამხდარიყო ხელ-შეკრულობის დედა აზრებისა; რუსეთის სატახტო ქალაქში ვერასოდეს ვერ დაეთანხმებიან საფრანგეთის გაზეთებისაგან გამოთქმულ აზრებს. მაგრამ მაინც უნდა გამოვიძიოთ—ამბობენ ბერლინელ გაზეთი,—წინად განზრახვით და განგებ ხომ არ მოუგიდა გავასის სააგენტოს ეს შეცდომა და რა მიზნით იქნებოდა იგი ჩადენილი.

☛ ავსტრიის პრესსაც სიხარულით ეგებება შეთანხმებას. სამინისტროს ოფიციალური გაზეთი აცხადებს, რომ სხვა სახელმწიფოებიც დაუყოვნებლივ მიუდგებიან ამ ხელშეკრულებას, რადგანაც მასში დადგენილ არიან საფუძველნი შორეულ-აღმოსავლეთში აწ არსებული წესრიგის და მშვიდობიანობის დასაცველად.

☛ გერმანელი გაზეთების სიტყვით, ბევრს გერმანელ სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოებას, მათ შორის გამბურგელ მეგემეებს კავშირს და სხვებს გაუგზავნიათ სახელმწიფო კანცლერის გრაფი ფონ-ბიულოვისათვის დეპეშები მადლობის გამოცხადებით მასზედ, რომ «იმპერიის მთავრობა ასე მხნედ და ხელოვნურად იცავს სამშობლოს ვაჭრობის და მრეწველობის ინტერესებს.»

☛ ასეთი სიხარული გერმანელებისა, ცოტათი არ იყოს აბრაზებს ინგლისელებს და მათ გაზეთებს. «მორნინგ პოსტი» მოურიდებლად აცხადებს, რომ გერმანელების სიხარული გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ პირველი და მეორე მუხლები შეთანხმებისა აღნიშნავენ დიდი-ბრიტანიის მთავრობისაგან უარის თქმასა ყოველ განსაკუთრებულ უფლებებზე იანძე-კიანგის ველში. უნდა იმედი ვიქონიოთ, უმატებს «მორნინგ პოსტი», რომ აღტაცება გერმანელთა და მათი გაზეთებისა შესაფერისად იქნება დაფასებული ინგლისისაგან!»

☛ გაზეთი «კურიერში» ბ. ძველი დიპლომატი ყურადღებით თვალს ადევნებს ინგლისურ გაზეთებში გამოთქმულ აზრებს შესახებ რუსეთისა და მისი პოლიტიკისა ჩინეთში და საზოგადოთ შორეულ-აღმოსავლეთში. სხვათა შორის ავტორი ყურადღებას აქცევს «თე ფორნაიტლი რევიუ»-ის უკანასკნელს წიგნს, რომელშიაც დაბეჭდილია მწკრივზედ სამი შემდეგი წერილი: სარედაქციო, რომელიც ურჩევს ბრიტანიის მთავრობას დაუყოვნებლივ მოახერხოს რუსეთთან თუ ზავი არა, შეთანხმება მაინც; წერილი დემეტრიუს ბულჯერისა, რომელიც ჰხსნის კითხვას «ბატონობს რუსეთი პეკინში, თუ არა?» და დასასრულ, წერილი «დიპლომატიკუსი»-ისა გრაფ ლამსდორფის პირველი ნაბიჯების შესახებ.

«ესეთი დიდი ყურადღება,—ამბობს ბ. დიპლომატი,—ჩვენდამი ფრიად მნიშვნელოვანია, რადგანაც ზედ მიწევნით გვიჩვენებს, თუ რა უზარ-მაზარი ადგილი დაიკავა რუსეთმა მსოფლიო პოლიტიკაში. კონსერვატორები თუ ლიბერალები, ნაციონალისტები, თუ უნიონისტები,—ყველა ჯგვათა მეოფელი ინგლისელები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ასე თუ იმნაირად,—ესლანდელ ინგლის-რუსეთის ურთი-ერთობას უნდა ბოლო მოეღოს; უნდა ან გაისრისოს რუსეთი იაპონიის შემწეობით და განიდევნოს შორეულის აღმოსავლეთიდან, ან... ჩამოვარდეს მასთან რაიმე ნაირი შეთანხმება.

სწორედ ხსენებულის ჟურნალის წერილებში ჩვენ ვპოულობთ დაწვრილებით განმარტებას ინგლისელების ამ ორივე სურვილისას: რეაქცია მიჰმართავს მშვიდობის მოყვარე ხალხს და ამისათვისაც იძლევა რჩევას რუსეთს როგორმე შეეთანხმდეთო; ბულჯერი კი იძლევა რჩევას, ბოლო მოუღოთ რუსეთს შორეულ აღმოსავლეთშიო, როგორც ამ ერთი თვის წინათ იგი დაჟინებით გაიძახოდა, რომ პეკინი უნდა უსათუოდ გავანადგუროთ და ქვრივი დედოფალი დავატანჯოთო‘. რის საბუთად მხოლოდ ის მოჰყავანდა, რომ პეკინში რუსეთია გაბატონებულიო. მესამე წერილს, ცხადია, აზრად აქვს შეარიგოს ორივე ეს მოსაზრება იმას დამტკიცებით, რომ რუსეთის დიპლომატიის გზაც არაა ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი და ამისათვის ყოველ უგიდურეს გადაწყვეტილობას ჩვენ უნდა ვერიდებოდეთო. განზრახვა «დიპლომატიურსა» შეიძლება კეთილ-გონიერიც იყოს, მაგრამ იგი ისევე არაა გულწრფელი, როგორც გულწრფელი არაა სარედაქციო წერილი, რომელიც ურჩევს ინგლისს შეთანხმდეს როგორმე რუსეთთან. პირიქით, მეტად გულ-წრფელია წერილი რუსთ მოძულე ბულჯერისა».

ბ. ბულჯერის აზრებს შემოკლებით ამნაირად გადმოგვცემს ავტორი: «რუსეთმა უნდა იბატონოს ჩინეთში და მოახერხებს კიდეც ამას, იმისათვის რომ ინგლისი ჯარის უყოლობის გამო არა თუ არ ეწინააღმდეგება მას, პირიქით ჰშველის კიდეც—იმით რომ არ აცხადებს თავის განსაკუთრებულს უფლებათა იანძეში და არა თხოულობს მანჯურიის მთავრობის განდევნას, რომლის წყალობითაც მოხდა უკანასკნელი შესაზარი ამბები ჩინეთში, რითაც ინგლისი დიდ ბოროტებას სჩადის ცივილიზაციის წინაშე. ამიტომ ინგლისმა უნდა გაგზავნოს 2000 ჯარის-კაცი ჩუზანში და მოითხოვოს საკუთრივ თავისათვის იან-ძეს-ველში ისეთივე გარანტია, როგორიც რუსეთს მანჯურიაში აქვს, და ამავე დროს გამოუცხადოს გერმანიას, იაპონიას, საფრანგეთს და შეერთებულ შტატებს, რომ იმათაც დაიჭირონ ჩინეთში შესაფერი ადგილები. ერთის სიტყვით, რუსეთის ბატონობის მოსასპობად ჩინეთში, უკანასკნელი ქვეყანა უნდა გაიყოს. ამისათვის კიდევ ბრიტანიის ფლოტი დაუყოვნებლივ უნდა მომზადდეს სამხედრო მოქმედებისათვის»...

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 17 ოქტომბერს, სიონის ტაძარში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი სახსოვრად იმისა, რომ ამ დღეს 1888 წელს ხელმწიფე იმპერატორი, მისი უავგუსტოესი დედა და ოჯახი გადარჩნენ უვნებლად მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნის დროს სადგურ ბორკთან ხარკოვის ახლო. წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ სამხედრო და სამოქალაქო წარჩინებულნი და დიდძალი ხალხი.

✦ საქართველოს ეგზარხოსს ყოვლად-უსამღვდელოესს ფლაბიანეს იმ კვირაში მოელიან ტფილისში პეტერბურგიდან.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება** დაინიშნა ხელმეორედ 29 ოქტომბრისათვის, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში. კრება, წესდების ძალით, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

✦ **ტფილისის საზოგადო საშუალო განათლების კურსები** გაიხსნება ხვალ, 19 ოქტომბერს. ლექციების კითხვა იქმნება ისევ 1-ლ გიმნაზიის შენობაში. წელს იმოქმედებენ მე-2 და მე-3 კურსები. ყველა საგნების მოსმენის მსურველმა უნდა გარდიხადოს წლიწადში 5 მან., თითო საგანში კი 1 მანეთი, თითო შესვლა ლექციაზე ღირს 20 კ.. ვისაც ჰსურს ჩაეწეროს მსმენელად, უნდა მიჰმართოს ო. ნ. ბოგდანოვიჩს, ქალების 1-ლ გიმნაზიაში, დილით 8—3 საათამდე, საღამობით 6—8-მდე.

✦ თავის დროზე ჩვენ ვაცნობეთ მკითხველთ, რომ უწმ. სინოდი იხილავს პროექტს მართლ-მადიდებელ **სამღვდელოებისათვის** ხაზინიდან ჯამაგირების დანიშვნისა და პენსიის ახალის დებულების შემუშავების შესახებ. ეხლა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იტყობინებიან, პროექტების განხილვა სინოდს შეუჩერებია, რადგანაც ფინანსთა სამინისტროს ის აზრი გამოუთქვამს, რომ ამ ჟამად მეტად მოუხერხებელი დროა და ხაზინა ახალს ხარჯებს ვერ გაიღებსო.

✦ მოკლე ხანში ბათუმის ოლქი განცალკევებული იქმნება ქუთაისის გუბერნიიდან და დაარსებულ იქმნება ახალი გუბერნია—**ბათუმისა.**

✦ სტავროპოლის საქალაქო გამგეობას კარგი საქმე გამოუწყვია. რადგანაც არ მოხერხდა ნახშირისა და შეშის გამყიდველთა თავ-გასულობის ალაგმვა, ხსენებულს გამგეობას გაუხსნია **საქალაქო საწყობი**, საიდანაც იაფის ფასით ჰყიდის ნახშირსაცა და შეშასაც.

✦ როგორც ამას წინადაც ვაცნობეთ მკითხველთ, **ტფილისის საქალაქო სასწავლებლებში**, რომელთა რიცხვი 17-მდე ავიდა, ამ ჟამად სულ 1788 ბავშვი სწავლობს ორივე სქესისა; მათგან რუსი—688, ქართველი—467, სომეხი—603 და დანარჩენ ერებისა—30. საინტერესოა შემდეგი დაწვრილებითი ცნობები ამ სასწავლებელთა შესახებ: ვერის 1-ლ სასწავლებელში სულ 150 მოსწავლეა, მათგან რუსი—129, ქართველი—8, სომეხი—11 და დანარჩენნი—2; ვერის მე-2 სასწავლებელში სულ 141 მოსწავლეა, მათგან რუსი—83, ქართველი—45 და სომეხი—13; ვერის მე-3 სასწავლებელში 103 მოსწავლეა, მათგან რუსი—22, ქართველი—66 და სომეხი—15; ვერის მე-4 სასწავლებელში სულ 77 მოსწავლეა, მათგან 61 რუსი, 9 ქართველი და 7 სომეხი; დიდუბის სასწავლებელში სულ 103 მოსწავლეა, მათგან 85 რუსი, 14 ქართველი და 4 სომეხი; კუკიის 1-ლ სასწავლებელში 105 მოსწავლეა, მათგან 17 რუსი, 16 ქართველი, 71 სომეხი და სხვა ერის—1; კუკიის მე-2 სასწავლებელში სულ 160 მოწაფეა, მათგან 30 რუსი, 109 ქართველი და 21 სომეხი; ბელინსკის სახელობაზე დაარსებულს კუკიის სასწავლებელში სულ 90 მოსწავლეა, მათგან 57 რუსი, 22 ქართველი, 8 სომეხი და დანარჩენნი—3; ჩუღურეთის სასწავლებელში 136 მოსწავლეა, მათგან 104 რუსი, 16 ქართველი, 13 სომეხი და დანარჩენნი—3; ავლაბრის 1-ლ სასწავლებელში 118 მოსწავლეა. რომელთაგან 4 რუსია, 16 ქართველი და 98 სომეხი; ავლაბრის მე-2 სასწავლებელში სულ 88 მოსწავლეა, მათგან 14 რუსი, 20 ქართველი და 54 სომეხი; ავლაბრის საქალებო სასწავლებელში სულ 129 მოსწავლეა, მათგან 19 რუსი, 22 ქართველი და 88 სომეხი; ავლაბრის მე-3 სასწავლებელში სულ 80 მოსწავლეა, მათგან 5 რუსი, 17 ქართველი, 50 სომეხი და დანარჩენნი—8; ამაღლების სასწავლებელში (სოლოლაკში) სულ 80 მოსწავლეა, მათგან 47 რუსი, 9 ქართველი, 17 სომეხი და 7—დანარჩენი ერებისა; სოლოლაკის სასწავლებელში სულ 117 მოსწავლეა, მათგან 6 რუსი, 12 ქართველი, 98 სომეხი და დანარჩენი—1; წმ. დავითის სასწავლებელში 84 მოსწავლეა, მათგან 5 რუსი, 63 ქართველი და 16 სომეხი; პუშკინის სახელობაზე ახლად დაარსებულ სასწავლებელში სულ 27 მოსწავლეა: 3 ქართველი, 19 სომეხი და 5—დანარჩენი ერებისა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას დეპეშა მოუვიდა საზოგადოება „ჰელიოსიდან“, რომელშიაც სწერენ, რომ საზოგადოებას სრულიადაც განზრახვა არ ჰქონია ხელი აიღოს **ტფილისის ელექტრონით განათებაზე** და პირობაში ნათლად არ ყოფილა განსაზღვრული დრო, როდესაც საზოგადოება უნდა შეჰკროდა ქალაქს ხელ-წერილით ამასთანავე საზოგადოება აცნობებს გამგეობას, რომ ტფილისში უკვე წამოვიდა ხელ-შეკრულობის დასადებად „ჰელიოსის“ წარმომადგენელიო.

✦ 15 ოქტომბრისათვის დანიშნული **საზოგადო კრება** ტფილისის 1-ლ და მე-2 გილდის **გაჭრებისა** არ შესდგა, რადგანაც არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვი.

✦ ტფილისში ჩამოვიდა რკინის გზების კომიტეტის თავმჯდომარე მ. **ა. უნანოვა**.

✦ როგორც ნამდვილი წყაროებიდან შევიტყეთ, ამერიკაში წასალებად დიდძალ **ჭაჭას თხოულობენ** კარგი იქმნება ჩვენმა მევენახეთ და უფრო უპატრონო სოფლებში და პოლიციამ ტყუილად არ აფუჭებინოს აუარებელი ჭაჭა და ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

✦ თელავის ქალაქის მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ მიეცეს მას ნება **საქალაქო აფთიაქის** დაარსებისა, რადგანაც ერთი კერძო აფთიაქი ვერ აკმაყოფილებს ყველა საჭიროებას და რადგანაც ქალაქს მხოლოდ მაშინ შეეძლება უფასოდ დაურიგოს წამლები შეუძლებელ მცხოვრებთ.

✦ კვირას, 29 ოქტომბერს, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართება **ქართული სახალხო წარმოდგენა**. განმეორებელი იქნება პიესა „პარიზელი ლატაკნი“.

✦ აზნაურთ ნიკოლოზ, სოლომონ და გედევან ორჯონიკიძეების და სხვათა საქმე, რომელთაც ჰბრალდებათ ტფილისის ფოსტიდან 50 **ათას მანეთიანი პაკეტის მოპარვა**, დანიშნულია განსახილველად ტფილისის საოლქო სასამართლოში 24 ოქტოსბერს.

✦ გუშინ წავიდა შულავერში **ტფ. საოლქო სასამართლოს სესსია**, რომელსაც თავმჯდომარეობს ა. ი. ბოგაევსკი. სესსიამ უნდა გაარჩიოს 25 ოქტომბრამდე 50 საქმე.

✦ 16 ოქტომბერს იმავე სასამართლოს განყოფილებამ, ვ. ვ. ბოლდირევის თავმჯდომარეობით, დაიწყო მოქმედება ქ. ზაქათალაში.

✦ სოხუმის ქალაქის საბჭოს გარდაუწყვეტია იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს იმის შესახებ, რომ საბჭოს ხმოსანი პროფ. ოსტროუმოვი სოხუმის **საპატიო მოქალაქედ** იქმნას ცნობილი, რადგანაც „დიდი ამაგი მიუძღვის ქალაქ სოხუმის წინაშეო“.

✦ რადგანაც ბუფეტების, ლუდხანებისა და ბაკების პატრონებმა თვითონ არ გაინაწილეს ერთმანერთშუა **საქალაქო გადასახადი**, ამის გამო ეს განაწილება თვით ქალაქის გამგეობამ მოახდინა.

✦ სოფ. პატარძეულიდან გვატყობინებენ, რომ 12 ოქტომბერს მინდვრის ბოლოზე თათრებს ღამით **მოუპარავთ** 9 სული საქონელი პატარძეულელი გლეხ-კაცებისა. მდევარი გამოსდგომია ქურდებს, მაგრამ ჯერ ვერას გამხდარან.

✦ ქუთაისის სადგურზე 14 ოქტომბერს შემდეგი **შემთხვევა** მომხდარა: კონდუქტორი ივ. კონტოვი შევიდა ვაგონში, რომელშიაც ჯარისკაცების ცხენები მიჰყავდათ; მას მაშინვე მისწვდა ერთი ცხენი და მოსჭამა ცხვირი; საბრალო კონტოვი გაგზავნეს ტფ. რკინის გზის საავადმყოფოში.

## საღამოს დეპეშები

### 17 ოქტომბერი

**ნიუ-იორკი.** 16 ოქტომბერს, შუადღისას, ბროდვეის ქუჩაზედ, მოხდა საშინელი აფეთქება „ტარანტის“ საქიმიო ქარხანაში. პირველ აფეთქებისათანავე შენობას ცეცხლი მოეკიდა; შემდეგ მოხდა კიდევ რამდენიმე აფეთქება. დანგრეულ იქმნა ქარხნის ახლო მიმავალი რკინის გზა. გაზეთების სიტყვით, დაღუპულთა რიცხვი 100-დან 200-მდე უნდა იყოს. ზარალი $1^1/_2$ მილიონ დოლლარს აღემატება.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება, რომ ინგლისელებმა წაართვეს ბურებს პარისთან ორი ზარბაზანი.

**ტიან-ძინი.** ექსპედიცია, რომელიც წავიდა აქედან 10 ოქტომბერს ხეიანიუსა და პაოტისაკენ, ისევ დაბრუნდა უკან; მას მტერთან საქმე არ ჰქონია. 4000 მოკრივე, რომელნიც, როგორც ამბობდნენ, პაოტისთან იყვნენ, გაიფანტნენ, როდესაც ექსპედიცია მიუახლოვდა მათ. აქ ჰფიქრობენ, რომ ყოველი ექსპედიცია მოკრივეთა წინააღმდეგ უსარგებლოდ ჩაივლის, რადგანაც მოკრივენი, რომელნიც სდევნიან ჩინელ ქრისტიანთ, იფანტებიან რა წამს ევროპიელთა ჯარს დაინახავენ.

გეზლი იუწყება პაოტინფუდან 11 ოქტომბრის თარიღით, რომ ვალდერზეეს მოწერილობის ძალით ბრიტანიის ჯარები ბრუნდებიან პეკინში და ტიან-ძინში, სადაც 26 ოქტომბერს მივლენ გერმანიისა და იტალიის ჯარებთან ერთად სამოქმედებლად. პეკინში მიმავალი რაზმები მიდიან სამ პარალელურ კალონად, რომ ტყვედ დაიჭირონ „დიდი მუშტები“, რომელნიც გზაზედ დაჰხვდებიან. უმთავრეს კალონას ჰსარდლობს გენერალი რიჩარდსონი. გენერალ კემპბელის უფროსობის ქვეშ მყოფი ჯარები აუჩქარებლივ მიდიან მდინარის მარჯვენა ნაპირით პაოტინფუდან ტიან-ძინისკენ. ეს ჯარები შეეყარნენ „დიდ მუშტს.“ ბენგალის ულანთა რაზმი, გაგზავნილი მოსაზვერავად 9 ოქტომბერს, შეებრძოლა „დიდ მუშტს“ 30 მილის მანძილზედ პაოტინფუდან და მოჰკლა 20 მდე „დიდი მუშტის“ კაცი. ჯარები კარგ ჯანზედ არიან.

**კანტონი.** გუჯოუს ოლქში ამბოხება უფრო და უფრო იზრდება. მთავრობის ჯარები უძლურნი არიან, მათ მოჰქდით მაშველი ჯარები. მეამბოხეთა მეთაური არის მეცნიერი სუნი და ერთიც რეფორმატორი კან იუ-ვეის აგენტთაგანი.

**ლონდონი.** სამხრეთ-აფრიკის ომიდან დაბრუნებული ვოლონტიორების ქალაქზედ გავლის დროს ბრბოში ჰედვა-ჰყლეტა მოხდა, რის გამოც 4 კაცი დაიღუპა და 140 დაშავდა.

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლების

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის)

სწრაფი მატარებელი № 2 **ტფილისიდან ბაქოში** გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 მ. (8 ს. 54 წ.), **ბაქოში ჩადის** საღამოს 9 ს. (9 ს. 58 მ.).

სწრაფი მატარებელი № 1 **ბაქოდან ტფილისში** გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), **ტფილისში ჩამოდის** საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

სათოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევს 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.)

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევს 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილით 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

სათოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 საათზე (7 ს. 58 წ.).

# განცხადებანი


ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ისტორია, გეოგრაფია და მოგზაურობა

ალხაზიშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.
ალნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.
გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.
— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.
ვახუშტი ბატონიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.
— იგ. II წ. ქართლი 25 კ.
ვოდოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ.
— იტალიელები. 30 კ.
— გერმანელები. 30 კ.
თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.
იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.
კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად. 25 კ.
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.
— იგივე წიგნი II. 3 მ.
ურბნელი ნ. მეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.
— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.
— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.
— იგ. „ მესამე. 40 კ.
ჭიჭინაძე ზ. მეფე ერეკლეს და აღა-მამადხანის ომი. 10 კ.
— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.
ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.
— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, ყდით. 25 კ.
ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.
სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.
ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.
გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე. 10 კ.
გოგებაშვილი ი. მოსავლის მცველნი, სურათებით. 20 კ.
დედამიწის მოყვანილობა—10 კ.
ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.
იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.
ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.
ლენტის მსგავსი ჭიები 5 კ.
კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.
მირიანაშვილი ალ. ჭაჲრი და მისი მნიშვნელობა. 15 კ.
მოწამვლის ჭიგიენა 3 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.
რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.
როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.
სპერნანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.
ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საზოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.
ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ბანი», ხალხური ლექსები. 10 კ.
— «განი», წვრილი ამბები. 10 კ.
— «დონი», წვრილი ამბები. 10 კ.
— «ვინი», პაწაწა მინერალოგია 15 კ.
— «ზენი», პაწაწა ბოტანიკა. 20
— «თანი», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.
ისარლოვი ლ. კათოლიკენი საქართველოში. 15 კ.
იზაშვილი პ. ქართველი კათოლიკენი. 10 კ.
კარლ-კაუტსკი. ჩვენი დროის ეროვნება. 10 კ.
მამაცაშვილი ქრ. დრო არის საქმეს შეუდგეთ. 20 კ.
ჩვენ ქალებს. ქ-ნ შტარის წერილები. 20 კ.

კაზმული სიტყვიერება:

აბაშიძე ვ. ტასიკო, დრამატიული ეტიუდი. 10 კ.
ბარათაშვილი ნ. ლექსები 40 კ.
ბურჟე პოლ. ცოდვა სიყვარულისა. 70 კ.
გაბაშვილი ეკატ. სურათები გლეხელ-კაცის ცხოვრებიდან 10 კ.
გუნია ვ. მარინე. ისტ. მოთხრობა გადმოკ. 30 კ.
გურიელი მამია. თხზულებანი (ლექსები და პოემები). 1 მ.
გელოვანი ქ. ლექსები. 15 კ.
გულისაშვილი ი. ორი პიესა. 50 კ.
გეტე. რეინეკე გუდა-მელა, სურათებით. 50 კ.
გვარამაძე მღ. ივ. წამება მიხეილ გობრონისა, ლექსად. 10 კ.
დილარიანი. 25 კ.
დუტუ მეგრელი. ცრემლები 25 კ.
დე-ამიჩი. დედა-შვილის თავ-გადასავალი 15 კ.
ეჟი. განთიადი. 1 მ.
ერვიე პოლ. ბრჭყალები, დრამა. 30 კ.
ერისთავი გ. თხზულებანი, სურათით 1 მ. 60 კ.
ევდოშვილი ი. ლექსები და პოემები. 25 კ.
ერკმან-შატრიანი. გლეხი კაცის ისტორია I ნაწ. 60 კ., II ნაწ. 60 კ., III და IV 1 მ. 20 კ. კარგ ქაღალდზე თითო ნაწ. 15 კ. ემატება.
ველისციხელი. ნ. საგულისხმიერო აზრები შილლერიდან. 5 კ.
— საგულისხმიერო აზრები გეფხის-ტყაოსნიდან. 10 კ.
იანქოშვილი მ. ციცინათელა. 25 კ.
ივანე ბატონიშვილი. კალმასობა. 1 მ.
იკოთელი ილ. სამნი ბრძენნი. 20 კ.
იოსელიანი გ. ვეფხის-ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყმაწვილებისათვის, სურათებით. 20 კ.
კარიჭაშვილი დ. სამი მსხვერპლი, მოთხრობა. 30 კ.
კეთილი მაღლი. 10 კ.
ლერმონტოვი მ. მწირი, პოემა 10 კ.
— ორშა, პოემა. 10 კ.
— დემონი. 10 კ.
მაჩხანელი დ. მმური სიტყვა. 25 კ.
ნინოშვილი ე. პარტახი. 20 კ.
ნადირაძე ილ. ზაქარია კეთილაძე. 10 კ.
ნიკიტინი ალ. კრებული მოთხრობებისა. 15 კ.
ორბელიანი ვ. ლექსები. 60 კ.
პატაპენკო ი. ნამდვილი სამსახური, მოთხრობა. 40 კ.
ჟანა დარკი. მოთხრობა. 5 კ.
რამას განდევნა, პოემიდან «რამიანი», გერმანულიდან 40 კ.
რუბაკინი. ორი ეტიუდი, «ქალაქის მაშვრალნი» და «პირის-პირ». 20 კ.
გოგებაშვილი ი. დედა-ენა ყდ. 40 კ.
— ბუნების კარი, ანუ ყმაწვილთათვის საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, ყდით. 80 კ.
— ხომლი, ლექსთა კრება 30 კ.
— Русское слово ნაწ. 1 ყდ. 40 კ.
— Русское слово ნაწ. II ყდ. 50 კ.
გაბიჩვაძე ვ. დედანი. 20 კ.
მდივანოვი ს. თვით მასწავლებელი ქართულისა და რუსულის ენისა. 50 კ.
ნასიძე. Учебникъ грузинскаго языка для русскихъ. 50 კ.
ქუთათელაძე არ. წყარო 40 კ.
ჯაჯანაშვილი რ. მეგობარი 35 კ.

საყმაწვილო წიგნები:

ავენარიუსი. ბანჯგვლიანი ფუტკრის ამბავი. 15 კ.
ასათიანი თ. საყმაწვილო ამბები. 10 კ.
ანდერსენი. ზღაპრები 1 წიგნი. 10 კ.
— გედები. 10 კ.
ბარნოვი. საკვირველი ხე 3 კ.
გაბაშვილი ეკ. საყმაწვილო მოთხრობები. 30 კ.
გოგებაშვილი ი. ხატის მიზეზი. 5 კ.
თუმანიშვილი ან. ხატური, მოთხრობა სურათებით. 10 კ.
ტატიშვილი გრ. ხუმარა სპილოები, სურათებით. 10 კ.
აკაკი. საყმაწვილო ამბები. 40 კ.
ციხე. თარგ. 5 კ.
ჩხუბი ერთი კვერცხისათვის. 3 კ.

—

სვანური ზღაპრები. 30 კ.

კრიტიკა, ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია:

თ. ი. ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა. 20 კ.
მკითხველის შენიშვნები. ჩატეხილი ხიდი «ოთარანთ» ქვრივის ი. ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ. 15 კ.
ნაზოლარა ფ. «ივერია» და «მეველე».
საბერძნეთის ბრძენი დიოგენი 10 კ.
სტეფენსონი—რკინის გზის გამომგონელი. 5 კ.
სახსოვრად ქართულ თეატრის 50 წ. არსებობის დღესასწაულისა. 20 კ.
ქართველი მკითხველი. საუცხოვო ნიმუშები ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული ნაწარმოებისა. 15 კ.
ჭიჭინაძე ზ. ქართული მწერლობა მე-XII საუკუნეში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XIII-ე XVI საუკუნოებში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XII საუკუნეში. 20 კ.
— შოთა რუსთაველი. 30 კ.
— პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში. 20 კ.
— აკაკი წერეთელი. 15 კ.
— ილ. ჭავჭავაძე. 20 კ.
— გ. ორბელიანი. 20 კ.
— ტუღუკაანთ დავითა და უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღ. 25 კ.
ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება 50 კ.

პუბლიცისტიკა:

გოგებაშვილი ი. მირითადი უკუღმართობა. 20 კ.

გამომც. გ. გუნია


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Октября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.